სამშობლო

პარასკევი,
22 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს ფასი შეღავათით ნაწილ-ნაწილად გადაიხდიან. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დიდი 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების გაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. დილის 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 338 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 338

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო“-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირს 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

როდის დასჭკნა სიყვარულის ყვავილები,

ლიერი დრამა სამ ნაწ. ცნობილ მსახიობთა: ევა ტომსენის და ელზა ფრეილიხის მონაწილეობით.

ქალების მესაიდუმლე.

კოროტიშვინის მონაწილეობით.

კვირას, 24 აპრილიდან, მხოლოდ ერთი დღით **სამხედრო სანახაობა**

უსის დროშის ქვეშ. პირველი სერია მეორე სამამულიშვილო ომის ციკლისა. აქ ნაჩვენებია რუსის ჯარის ყველა ის დიდი ბრძოლები, როგორც კონტინენტზე, ისე ზღვაზე. სურათები გადაღებულია სკობელევის კომიტეტის მიერ

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა

მოწაფეებისათვის და გიმნაზიისათვის აღკრძალულია.

ქრონიკა გომონის. მიმდინარე ამბები.

ცოლი

რკიბაშევის ნაწარმოების „ქმარი“-ს საპასუხოთ. 6 ნაწილად. მონაწილეობას იღებენ: ლაზაროვისა, მურომსკისა, დობეინსკი, შულგინი. Poseue დადგმულია სვეტლოვისაგან.

კვირას, 24 აპრილიდან მხოლოდ ერთი დღით — სამხედრო სანახაობა

რუსის დროშის ქვეშ. პირველი სერია მეორე სამამულიშვილო ომის ციკლისა. აქ ნაჩვენებია რუსის ჯარის ყველა ასპარეზის დიდი ბრძოლები, როგორც კონტინენტზე, ისე ზღვაზე. სურათები გადაღებულია სკობელევის კომიტეტის მიერ.

ადგილების ფასი **„ამპირსა“** და **„რადიუმში“**: ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ექიმი **ი. ჩარქოში** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღ. 6—8 საათ, მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ბაღის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3 1—თ.
113

ექიმი **ა. მ. ახათიანი.** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავადმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.
11

ექიმი **ზალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.
14

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **მოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ბეითალი **ვ. მ ნიურონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ჯალაბ ვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

უბედურნი მშობლები: იოსებ და მაკრინე, და ნინა და ძმა გრიგოლი ხელაძეები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ პირველთა შვილის და მეორეთა ძმის, გერმანელებთან ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის პრაპორშჩიკის

ვახტანგ იოსების ძის ხელაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, გარდახდილი იქნება ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე წირვა და პანაშვიდი 23 აპრილს დილით შაბათს.

გულ-დათუთქული მშობლები: სერგო დავითის ძე ერისთავი და მეუღლე მისი პელაგია ერისთავისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას 24 ამა აპრილს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უცრო[illegible] გარდაცვალებულის შვილის

მიტუშა (დიმიტრი) ერისთავის

სულის მოსახსენებლათ წირვა დაიწყება დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში, შემდეგ წირვისა პანაშვიდი.

3—1

ქუთაისის ქალაქის ტეატრი

სახაზინო თეატრის ვ. ი. ამირაგოვის დირექცია პარასკევს 22 აპრილს გამართავს ერთად ერთ

კონცერტს

ცნობილ ქალის **მარიამ პეტრეს ასულის კამაროვისას** დასაწყისი კონცერტისა საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე დაწვრილებით აფიშებში.

141 ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 3—3

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ბებია **მ. მ. ქიტხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

20 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი.

მტერმა საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა დვინისა და იაკობშტადტის რაიონებში, ვიკის და ტვერეჩის მიდამოებში გერმანელები საარტილერიო მზადების შემდეგ შეეცადენ თავის თხრილებიდან ამოსვლას, მაგრამ ჩვენ არტილერიის ცეცხლით შევაჩერეთ. 19 აპრილს დილით მტერმა სოფ. ანტინზე და პოსტავის სამხრეთ-დასავლეთით იერიში მოიტანა, მაგრამ უკუვაგდეთ. გერმანელებმა ამ რაიონში მეორეთ შემოგვიტიეს, მაგრამ უშედეგოთ. ბარანოვიჩისა და ოგნინის არხებთან გაცხოველებული საარტილერიო სროლაა. ოლიკის ჩრდილოეთით ჩვენ რამდენიმეთ წინ წავიწიეთ. სოპანოვის რაიონში, კრემენეცის დასავლეთით, მტერმა ბეგობი ააფეთქა, შემდეგ ეს ბეგობი ჩვენ დავიკავეთ. იარმოსლავცეს რაიონში და მის სამხრეთ-დასავლეთით მტრის მფრინავი ჩამოეშვა, რომელიც ტყვეთ წამოვიყვანეთ.

კავკასიის ასპარეზი.

ზემო ჰოროხის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ დაიკავა საყურადღებო ადგილი, და მტერი დასავლეთით შეავიწროვა. ზღვის რაიონში ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიშები

— —

დანარჩენი დეპეში იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პოლიციელები ჯარში გაიწვიეს.

საფრანგეთში, როგორც გაზეთ „რანნეე უტროს“ დეპეშით აცყობინებენ, მთავრობამ პოლიციელები მომქმედ ჯარში უკვე გაიწვია. პოლიციელების მობილიზაცია პარიზიდან დაიწყეს. აქ ჯერ-ჯერობით 2,000 პოლიციელიისგან რაზმი უკვე შეადგინეს; პარიზში სულ 9,000 პოლიციელი იქნება გაწვეული.

ტრაპიზონში.

გაზეთ „რუსკია ვედომოსტის“ კორესპონდენტის გადმოცემით ტრაპიზონში ახლა ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა მაღაზიები გაიღეს და გაქცეული მაჰმადიანი მცხოვრებნი ქალაქში უკანვე დაბრუნდენ.

როგორ დაიწყო აჯანყება ირლანდიაში.

პირველათ აჯანყებამ ირლანდიის დედა ქალაქ დუბლინში იფეთქა. 10 აპრილს დილით ქუჩაზე მოულოდნელათ შუბიანი თოფებით შეიარაღებულ აჯანყებულთა რაზმი გამოჩნდა. რაზმმა ელვის სისწრაფით მთავარი ფოსტის ბინისაკენ გასწია. შეიჭრა იქ: საფოსტო ყუთების წინ თვალის დახამხამების უმალ სახელდახელო ბარიკადა ააგო აჯანყების დაწვრილებითი გეგმა წინდაწინვე იყო შემუშავებული აჯანყებულთა სხვადასხვა რაზმი ნაირ-ნაირი სისტემის თოფებით იყო შეიარაღებულნი ისინი ქუჩებში ავტომობილებს, იჭერდნენ, რომ იმით ბარიკადები აეგოთ; ამავე დროს რამდენიმე რაზმმა რამდენიმე შენობა უკვე დაიკავა, რადგანაც მათ ქალაქში შემოსული ჯარის წინააღმდეგ სროლა გამართეს.

ბარიკადები ფოსტის ახლო დღესაც აუღებელია აჯანყებულთა ერთი წინამძღოლთაგანი ხანში შესული ქალი აღმოჩნდა, რომელიც სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი რომელიც აჯანყებულთ ხელმძღვანელობდა.

ირლანდიის დღევანდელი აჯანყება ირლანდიელ ნაციონალისტთა ერთი ჯგუფისგან იყო მოწყობილი; ამ ჯგუფს სინფენერებს უწოდებენ; დაარსებულია ამ 12 წლის წინად და მიზნათ ისახავს, რომ ირლანდია ინგლისს ჩამოაშოროს და პოლიტიკურათ სრული დამოუკიდებლობა მოუპოვოს მას. ამ ჯგუფში ბევრი დუბლინელი ინტელიგენტი ურევია, პარლამენტში კი წარმომადგენელი დღემდე არა ყავს. აჯანყებულთა რიცხვი 12,000, აღწევდა. აჯანყებულებმა დუბლინის ქუჩების ქვეშ ბევრი ხვრელები (ტრანშეები) გათხარეს და ბევრი შენობაც ციხე სიმაგრეებათ აქციეს.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ირლანდიის ჯარების ბანაკებიდან მოხლევებულმა ჯარმა მაინც იძულებული გახდა ისინი იარაღი დაეყარათ და ინგლისის მთავრობას დარჩნენ.

გერმანიის მდგომარეობა საფრანგეთ ბელგიის ფრონტზე

გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ პარიზელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანელებმა ცხადია ვერდენის რაიონიდან ბევრი მძიმე ზარბაზნები ფრონტის სხვა და სხვა პუნქტებში გადაიტანეს. ბრძოლის ცეცხლი ახლა ბელგიის ფრონტზე დაანთეს: შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ

მსოფლიო ომი.

(დღიური)

მდგომარეობა ჯერ ისევ გამოურკვეველია: მსოფლიო ომში ბრძოლის ინიციატივა ყველგან თავიდანვე გერმანელების ხელში იყო და დღესაც ასეა, ამ მხრით არაფერი არ შეცვლილა; მხოლოდ არაა გამორკვეული: ვერდენთან ბრძოლის გერმანია აჩერებს თუ არა და მერე,სად აპირებს მთავარი დაკვრის, გადამწყვეტი შეტევის დაწყებას იგი: ბელგიის ფრონტზე ინგლისელების წინააღმდეგ, თუ რუსეთის ასპარეზზე? კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ეს ორი დღეა გერმანიიდან ფოსტა არ მოსულა, რადგან რკინის გზები სულ ჯარების გადაყვანას უნდებაო აქედან აშკარაა, რომ გერმანიას ახალი ძალები საითკენღაც გადაყავს, მაგრამ ჯერ გამორკვეული არაა, თუ საწელდობრ საით! ორი დღის წინათ დეპეშით იუწყებოდენ, რომ გერმანიამ ჯარები ვერდენთან მოაგროვა და სულ ახალი გაფართოებული იერიშები დაიწყოვო; მაგრამ პარიზიდან მოსულ დღევანდელ დეპეშის მიხედვით ვერდენთან ბრძოლის ხელახალი გამწვავება და გართულება სულაც არ ეტყობა. ახლა აქ ჩვეულებრივ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებენ. მაგალითად გერმანელები ახლა ინტენსიურად ზარბაზნებს მხოლოთ ავაკურ-მორტომის ხაზზე უშენენ. ამასთან ერთი მხრით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცნობას, რომ გერმანელებმა ვერდენის რაიონიდან მძიმე ზარბაზნები სხვა ფრონტზე გადაიტანესო, ხოლო მეორე მხრით იმას, რომ ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა ერთ ბელგიის ფრონტზე დაიწყეს მძლავრი იერიშები და მერე რუსეთის ფრონტზედაც გენერალურ ბრძოლას იწყებენო, მაშინ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გერმანელები ვერდენს თანდათან ხელს უშვებენ, მაგრდებიან რა იქ ახალ პოზიციებზე და თავის ძალებს ორ დიდ ფრონტს უნაწილებენ: ერთია ბელგიის ფრონტი, განსაკუთრებით იპრისა და დიკსმიუნდეს რაიონი, სადაც გერმანელების წინსვლა ამ წლის ნახევრის წინათ შეჩერდა, ხოლო მეორეა რუსეთის ასპარეზი, განსაკუთრებით დვინის და ვიძი—პოსტავი—ბარანოვიჩის ხაზი, სადაც დღეს გერმანელებმა ახალი შეტევა უკვე დაიწყეს. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარ ძალებს ისინი ჰინდენბურგის გამოცდილებას ანდომებენ და რუსეთის სამხედრო ძალას დაუპირდაპირებენ. გერმანელებმა ჰაეროპლანებით კვლავ მოახდინეს თავდასხმა ინგლის-შოტლანდიის ნაპირებზე—იოქშირის ქალაქზე. ირლანდიის აჯანყება, როგორც ასკვიტი აცხადებს, ჩააქრეს და ირლანდიასა და ინგლის შორის მისვლა—მოსვლა—ფოსტა კვლავ აღადგინეს **კავკასიის ფრონტზე** შავი ზღვის პირათ ოსმალთა შეტევა რუსეთის ჯარმა შეაჩერა. ჭოროხის ზედა ხეობაში რუსეთის ჯარმა წინ წაიწია და ერთი ახალი პოზიცია დაიკავა.

სხვა ფრონტებზე და ზღვაზე ისევ სიწყნარეა.

* * *

გერმანელებს საფრანგეთის ფრონტის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილზე უკუაქციევენ, მაშინ ისინი თავის სახელის აღდგენას უთუოდ ჩრდილო დასავლეთ ნაწილზე—ბელგიის ფრონტზე—შეეცდებიანო

გერმანელების ახალი ჰაეროპლანი

რიგის რაიონში გერმანელების ახალი ჰაეროპლანი ფერათ სულ ერთიანად შავია ალბათ ჯავშნით არის შემოსილი; ამასთან ტანათაც უფრო მოზრდილია და სისწრაფითაც წინანდელებს ბევრათ სჯობია: საათში 180 ვერსის სიგრძეზე შეუძლია გადაფრინდეს და ამასთან ფრენას ძლიერი ქარიც ვერ უშლის ხოლმე.

ვის მხარეზეა საბერძნეთი?

გაზეთ „ვეჩერნეე ვრემიას“ აზრით საბერძნეთის მთავრობის მხრით სერბიის ჯარების საბერძნეთის ტერიტორიაზე გატარებაზედაც და კორინფის არხის დანალმვაზედაც უარის თქმა იმას მოასწავებს, რომ საბერძნეთი ახლა გერმანიის მხარეზე აშკარად დგებაო.

მდგომარეობა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე.

სამხედრო ჟურნ. „რუსკია ინვალიდი“ სწერს: რუსეთის ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთის წინააღმდეგ გერმანელების არტილერიის ამოქმედებამ ვერც შლოკთან და ვერც ბერზემიუნდთან დიდი ნაყოფი ვერ გამოიღო ამ ადგილებში რუსეთის ჯარი დიდხანს იდგა პოზიციებზე მკვიდრათ; ხოლო რაც შეეხება 15 აპრილის ცნობას, რომ გერმანელებმა რუსეთის ჯარის სანგრები დაიკავესო, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ჯარმა ორი სამი ვერსით უკან დაიხია და ზანოპოჩა-სტახოვიჩის ხაზის პოზიციებზე შეჩერდა. როგორც ეტყობა გერმანელებს უნდათ რუსეთის ჯარების მეტი ნაწილი ტბების რაიონში დააბანდონ და ამით თავისი სუსტი ადგილები სამხრეთით—სმორგონ-ბარანოვიჩის ხაზზე—რუსების შეტევასგან. ჯერ ჯერობით კიდევ არ ითქმის, რომ 15 აპრილს გერმანელების მხრივ დაწყებული შეტევა დასაწყისი იყოს იმ საერთო მთავარი შეტევისა, რომელსაც ჩვენ მოველოდით ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არაა უტყუარი ცნობები იმაზე, თუ რას ფიქრობს ან რა გადაწყვიტა გერმანიის შტაბმა ვერდენთან დაწყებულ ბრძოლის მეტათ გაჭიანურების გამო.

ქართული პრესა.

„რუსკია ვედომოსტის“ 14 აპრილის ნუმერში მოთავსებულია ვიღაც პ. ს. წერილი „კავკასიის ცხოვრებიდან“, სადაც ავტორი წერილისა აბეზღებს ქართველებს და ერთგვარ პროვოკაციასაც კი ეწევა. ამის გამო „თან. აზრი“ სწერს:

ეს ბატონი პირველ ყოვლისა სწუხს, რომ რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეის გასამტკიცებლად სომხებს არ ემყარებოდა, თუმცა მორცხვათ, მაგრა მაინც იწონებს ვორონცოვ-დაშკოვის უკანასკნელი წლების „მოღვაწეობას“ ე. ი. ლიბერალური გაზეთის თანამშრომელი იმეორებს იმას, რასაც რუსეთის მემარჯვენეები სწადიან: კავკასიაში „სახელმწიფოებრიობის“ გასამტკიცებლათ არჩევს ერთ ერს. ცხადია, დანარჩენები უნდა გახდეს ამ პოლიტიკის ობიექტი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, რომ წერილში პირდაპირი პროვოკაცია არ იყოს. აი რას სწერს ავტორი წერილის ერთ ადგილას:

„სომხის ერთმა მოღვაწემ, რომელიც მე ვინახულე, სრულიად სერიოზულათ განმიმარტა:—ქართველები ოსმალთა ორიენტაციას იზიარებენ; ისინი გერმანიის ფეხქვეშ არიან ჩაბმული და აქედან წარმოსდგება მათი მტრობა სომხებისადმი“,

აი, [illegible] საზიზღარ პროვოკაციას აქვს ადგილი ლიბერალური პროგრესისტების გაზეთში! ნუ თუ დავიჯეროთ, რომ გაზეთმა არ იცის, რა შედეგი მოსდევს ასეთ საქციელს? ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აქ მოთხრობილი ამბავი თავიდან ბოლომდე ზღაპარია. ჩვენ არ ვიცით, სადიდან შეიტყო კორესპონდენტმა ქართველების „ოსმალური ორიენტაცია“, ან რომელი სომეხი მოღვაწე იყო იგი, რომელმაც „სრულიად სერიოზულათ“ განაცხადა ეს ჭორი. ქვეყანამ იცის, რომ ე. წ. სომეხ-ქართველთა უთანხმოებას არაფერი საერთო არ აქვს „ორიენტაციებთან“, რომ ეს უთანხმოება არის მქონებელი კლასების უთანხმოება და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა შორს დგას შოვინიზმისა და ნაციონალისტური გატაცებისაგან.

ჩვენ ზიზღით გვერდს ავუვლიდით ასეთ პროვოკაციულ წერილებს, რომ კრიტიკულ მომენტში არ ვცხოვრობდეთ, როცა ყოველგვარ ჭორს და ცილისწამებას ხშირად სამწუხარო შედეგები მოსდევს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის ქალაქის მოურავს ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანს თბილისის ქალ. მოურავ ხატისოვისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა: „23 აპრილს პროფესორ სოლოგუბს სურს წაიკითხოს ქუთაისში ლექცია შემდეგ თემაზე: „რუსეთი ოცნებასა და მოლოდინში“. გთხოვთ დეპეშით მაცნობოთ მოაწესრიგებთ თუ არა ლექციის საქმეს, რომლის შემოსავლის ნახევარი გადაიდება ქალაქთა კავშირის სასარგებლოთო“. ქალაქის მოურავმა ბ-მა ი. მ. ჩიქოვანმა დეპეშითვე უპასუხა, რომ, შესაძლებელია, მოეწყოს; 23 აპრილს მე თბილისს მოვდივარ და ამ საქმეს ჩემი მოადგილე მოაწესრიგებსო.

◆ ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა მაისის შუა რიცხვებამდი გადაიდო

◆ ქუთაისის ქალაქის უფასო სამკურნალოში მდგომარე წლის მარტის განმავლობაში გაუსინჯავთ: შინაგან სნეულებათა ავადმყოფნი—560 სული, ქირურგიული—880 და ქალთა სნეულებით 120.

◆ ფოთის ქალაქის თვითმართველობამ თანახმათ ქუთ. ქალ. გამგეობისა, შეატყობინა, რადგანაც ომის გამო, ფინანსიურათ ქალაქი დიდ სივიწროვეს განიცდის, ამიტომ ომში გაწვეულ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს ეძლევათ ერთი მესამედი კუთვნილ ჯამაგირისა ადგილის შენახვით.

◆ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით, საზაფხულოთ მატარებელთა საზამთრო მიმოსვლა არ გამოიცვლება მხოლოდ, სადაც საჭირო იქნება, სააგარაკო მატარებელი ჩაემატება

◆ ლაილაშის ბოქაულმა გამლიანმა შუამდგომლობა აღძრა ქუთ. ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ დ. ლაილაშის მცხოვრებთ დაუთმოს ქალაქმა ასი ფუთი პურის ფქვილი ქალაქის გამგეობამ უქონლობის გამო, თხოვნა ვერ დააკმაყოფილა.

◆ ამ ჟამათ ქუთაისში შაბიამანი აქა იქ იშოვება, ფუთს 85 მან. აფასებენ. როგორც ამბობენ, შაბიამანში ურევია გვარჯილისაგან შედგენილი მარილი.

◆ დ. ოზურგეთში არსდება ქარ. შორის წერ. კით. გამ. საზ. განყოფილება

◆ პ. ტ. სააგენტოს ცნობით, ბერლინში დაუტუსაღებიათ ცნობილი სოც. დემ. ლიბკნეხტი

◆ დღეს, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში შესდგება ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება, რომელზეც გაირჩევა მხოლოდ ქალაქის მოსამსახურეთა ახალი შტატის საკითხი

◆ ფინანსთა [illegible] საბჭო შეიტანა კანონპროექტი [illegible] ძალ თაც უნდა მიეცეს ქუთაისის მოხელეთ დღ ური.

◆ ადმინისტრატიულათ დატუსაღებ ლი პირები მეფის ნაცვლის განკარგუ ლებით, არზრუმის აღების გამო უკვე გ ანთავისუფლეს.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დ რთო გახსნან მომხმარებელი საზოგად ებები შემდეგ სოფლებში. ს. კუტუს (ს მ.) „სინათლე“, ს. აბასთუმნის (ზუ მ.) „წინსვლა.“ ს. ჭყოლოგვარას ოზ მაზ.) „შვენება“ ,ახალი-სენაკში ნ და ს. კორცხელის (ზუგ მაზ. „გამოფ ლება.

◆ ჟურნალ გაზეთების კანტორა „ რეთმა“ მიიღო „სინათლის“ გამოც „საქართველოს მნათობნი“ მხატვრ სურათი ვაჟა ფშაველასი, ნ. ბარათაშ ლის და ალ. ყაზბეგის ფასი 1 მ მაგიერ 50 კაპ.

◆ სად. ტყიბულის მოსამსახურე დრია ბოკარევი 13 აპრილს უგზო უ ლოთ დაიკარგა; 19 აპრილს, სადგ რკინის გზის ლიანდაგის დარაჯმა ცირეკიძემ იპოვა ტყეში ჩამომხრჩვა თავი რაღაცას მოეჭამა, მხოლ დარჩენილიყო თავის ძვლები, მთელი ტ შავათ ქონდა გასივებული მატლებით მწერებით დაფარული.

ჯიბეში აღმოაჩნდა სახელმწიფო ლები, ერთი კაპიკი ფული, და ორი პიროსი ქუდი და პალტო ერთი ს მოშორებით ცალკე ეწყო. განსვენებუ ცოლშვილში უსიამოვნება ჰქონდა, რად ნაც მთელს თავის ჯამაგირს სამიკიტნ ხარჯავდა დარჩა ექვსი მცირე წლოვ შვილი და ცოლი ყოველ საშუალებას კლებული.

◆ კვირას, 24 აპრილს, დანიშნუ ს. ლესის წიგნ-საცავ სამკითხველოს წლ რი კრება.

◆ გუშინ ქუთაისში საფოსტო ს ლეგრაფო მოსამსახურეებმა დაიწყეს რათების გაყიდვა ჯარისკაცთა ოჯახ სასარგებლოთ.

◆ გოგირდ-შაბიამანი ქუთაისის წვრ კრედიტის ამხანაგობათა მყიდველმა, რომ 20 აპრილს მოსკოვის სახალხო კიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მი „ვლადივოსტოკიდან ასი ფუთი შაბ და ასი ფუთი გოგირდი იგზავნება გზით მატარებლითო“ საყურადღე როდის მოაღწევს ჩვენამდე გამოგზა გოგირდ-შაბიამანი.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „სა ლო გაზეთის“ № 8. ჟურნალი ჩვეუ რივის შინაარსით არის შედგენილი.

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერმა შეუდგინა სავალდებულო დადგენი დარღვევისათვის იაკობ კოკიაშვილ პრაპ ბორის იარაშენკოს, რომე ქუჩაზე გაისროლა რევოლვერი ეს გადაეცა ქუთაისის სამხედრო უფრო

რას ივედრებიან ჩვენი ფედერალისტები?

(წერილი მესამე).

(იხ. „სამშობლო № 337).

აღარ მახსოვს, რომელმა პროფესორმა სთქვა: „რაც ბავშვი თავის სიცოცხლის პირველ ორ წელიწადს სწავლობს, იმდენ ცოდნას შემდეგში კუბოს ფიცრამდეც-კი ვერ შეიძენსო“, მაგრამ თვით თქმა კი სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდგან პირველი შთაბეჭდილებანი, პირველი თვალის გადავლება გარემოსა და თავის ოჯახისა ხდება საფუძვლად იმ მილიონჯერ მილიონ განცდათა, რომელიც შემდეგ მოელის მოზარდს ცხოვრებაში.

მე არას ვიტყვი ქართველი ხალხის უმრავლესობის გლეხთა ბავშვების ოჯახურ აღზრდაზე.

გლეხობა ხომ მარტო იმიტომ არის გაჩენილი, რომ ქვეყანა არჩინოს და ყველასაგან კი დავიწყებული იყოს. მისთვის არ არსებობს „სიამენი ამა ქვეყნისა“. იბადება შეუმჩნევლად და კვდება შეუმჩნევლადვე.

ათასში ერთი გლეხი თუ ელირსება ხოლმე შვილის აღზრდას და ეს „ნასწავლი შვილიც“ აღარ უბრუნდება სოფელს. იგი ეკედლება, ეგრედ წოდებულ ინტელიგენტთა წრეს და გლეხობა თავისი ეთაკილება კიდეც!

ინტელიგენცია ჩვენი კი მეტის-მეტად შიგჭრელია უმრავლესობა თავად-აზნაურობაა, უმცირესობა, სხვა და სხვა ჯურის მოხელეთა, სამღვდელოებისა და გლეხთა შვილებია

მე არ ვიცი, როგორი იქნებოდა ჩვენი ინტელიგენცია, საქართველოს რომ თავისუფალი ყოფილიყო, ჩვენ ინტელიგენციას სწავლა-აღზრდა რომ მშობლიურ ნიადაგზე მიეღო, მაგრამ ახლა კი იგი ანარეკლია რუსეთის ინტელიგენციისა და სცხოვრობს და მოქმედებს იმ გეგმით, როგორც სცხოვრობს და მოქმედებს რუსეთის ხალხის განათლებული ნაწილი

რუსეთმა და მისმა მთავრობამ კი დაამუშავა ერთგვარი ზოგადი ტიპი ინტელიგენტისა: იგი წმინდაწყალის „ჩინოვნიკია“ აღზრდითა, განათლებითა და გულისთქმით*).

ჩინოვნიკობისა და სამსახურ-ჯამაგირის მოტრფიალეა ქართველ ოჯახთა უმრავლესობაც, რომლისთვისაც არ არსებობს აღზრდა ბავშვისა მშობლიურ ნიადაგზე, აღზრდა ბავშვისა ბუნებრივად. ჩვენი ოჯახი, თვით გადაგვარების გზაზე შემდგარი ოჯახი, მთელ იმედებს ამყარებს სკოლაზე, რომელიც მისთვის უცხოა და თავისებურათაც ზრდის ჩვენ მომავალ-თაობას

ამიტომაც არის, რომ მთლიანი ტიპი ქართველი კაცისა იშვიათია, ამიტომაც არის, რომ იშვიათად შეხვდებით ისეთ ოჯახს, რომელიც ზრუნავდეს შვილის მოქალაქედ აღზრდაზე.

ჩვენში ვაჟი თუ ქალი ფასდება „დიპლომით“, სამსახურით, ადგილით.

მოხელეა, ჯამაგირიანი ადგილი აქვს? ყველას კარები მისთვის ღიაა!

თვით ამაყი თავადის ქალიც კი სიხარულით გაჰყვება თავის ნაყმევის შვილს, ოღონდ კი იგი ჩინოვნიკი იყოს!..

ჩვენში არავინ კითხულობს სულიერ ღირსებას ადამიანისას, კითხულობენ მხოლოდ რაოდენობას მისის ჯამაგირისას!

„სოციალისტი“ საქართველო—მიწას ებღაუჭება და „გასოციალისტებული“ ინტელიგენცია ოპოზიციის მაგივრად მაგარ პოზიციებს იკავებს, თუმცა ქვეყნის პატრონადაც სთვლის თავის თავს (მაგალითად ჩვენი ფედერალისტები).

საკვირველი აღარ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენებურ ოჯახთა უმრავლესობა უპრინციპო, უიდეო იყოს.

საკვირველი აღარ არის ამის შემდეგ, რომ რომელიმე ღარიბი მღვდლის ქვრივი თავის ბიჭუკელას მხოლოდ გაბლაღოჩინებაზე, ან გადეკანოზებაზე ოცნებობდეს

საკვირველი აღარ არის ამის შემდეგ, რომ რომელიმე ქართველი „ჩინოვნიკა“ თავის შვილის „გაპრისტავებაზე“ ამყარებდეს თავის მომავალს, ან რომელიმე ქართველ უნივერსანტს ენატრებოდეს „ჩინოვნიკობა ოსობის პორუჩენიი პრი ეგო პრევოსხოდიტელსტვე“.

ჩვენში მხოლოდ ამ ბოლო დროს გაჩნდენ საზოგადო დაწესებულებანი კარგი ჯამაგირიანი ადგილებით, გაჩნდა თითქოს, ეროვნული სულიც და მაშასადამე, ეროვნულ ნიადაგზე მოღვაწეობაც*), მაგრამ ეს ეროვნული სული და ეროვნული მოღვაწეობა, მე ვამბობ, ჯერ ჩამოყალიბებული არ არის და კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს, ვინაიდგან დღესაც ჩვენი ახალგაზრდობა ისეა გზა-კვალ-აბნეული თანამედროვე სასკოლო, თუ საოჯახო აღზრდისაგან, რომ სწორედ გული გეტკინებათ, თუ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდით

არა გჯერათ?

შეიხედეთ, თუნდა ჩვენ საქალებო სასწავლებლებში, (ქალების აღზრდას მე უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევ სრულიად გასაგები მიზეზისა გამო) დაუკვირდით მათ აღზრდას, ასწონ-დასწონეთ მათი სათანადო განვითარება, გაითვალისწინეთ მოპყრობა მათდამი დედმამისა, თუ მასწავლებელ—აღმზრდელთაგან და თქვენ დაინახავთ, რომ ტყვილად იხარჯება ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილების ენერგიაც, შრომაც, მეცადინეობაც, დროც, ფულებიც. ტყვილია, თითქმის უმიზნოა ის გულის-ტრიალი და ვაივაგლახი, რომელსაც განიცდიან მშობლები; ტყვილია ის ტანჯვა-წვალებაც და უმანკო ცრემლებიც, რომელსაც ეწევა მოსწავლე ქალიშვილი უცხო ენაზე გაკვეთილების და სწავლის დროს, ან რომელ ცრემლებსაც ღვრის იგი „ედინიცისა“, ან „დვოიკის“ მიღების დროს, ვინაიდგან შვიდ-რვა კლასის გათავების შემდეგ ჩვენი ქალიშვილი ისეთივე უვიცი, გამოუცდელი, ცხოვრების უმეცარი და მოუმზადებელი რჩება, როგორიც იყო კლასში შესვლის დღეს

მხოლოდ ფიზიკური მომწიფება ზერელე „განათლება“ გარეგანი შეხედულება და ის ყოვლად უაზრო ნაგლეჯი ქაღალდისა, რომელსაც „დიპლომი“ ჰქვიან თუ შველის ხოლმე ჩვენ ქალიშვილებს საქმროსი, ან სამსახურის შოვნაში

საქმროებისა რა მოგახსენოთ, ვინ იცის, ვის როგორი მეუღლე გამოადგება, რადგანაც აღზრდა ჩვენი ვაჟებისა უფრო [illegible] მოთია; ვიდრე აღზრდა ჩვენის ქალიშვილებისა (ამაზე შემდეგ. მაგრამ რაც ხება ჩვენში ქალების სამსახურს, მასხარად აგდება, ან მოწყალება ხოვრობა უფრო, ვიდრე ნასწავლ განათლებული ქალიშვილის ღირს დაფასება, დაკარგული დროისა და ლა—აღზრდაზე გაწეულ ხარჯის ა რება!..

ეს კიდევ დიდი უბედურება არ ბოდა, რომ ქალიშვილების დიდი ლესობა სულ მთლად არ გვეკარგე გადაგვარების გზაზე არა დგებოდეს! ერთს აღარ ახსოვს ხოლმე, რომ თველია და, მაშასადამე, ქართველ მიანის მოვალეობაც აწევს კისერ

რა, რა გამოტყუენება უბრალ ლის მანდილოსანს—თავის შვილ ჩვევდეს მოთმინებას, როცა ასეთ და „უპატრონო მდგომარეობაში“ მთელი ქართველი ახალგაზრდობა?

მეც სწორედ „უპატრონო“ ვიყ ვისწენდი დედიჩემის დარიგებას:

— მორჩილი იყავ შენი „სმოტ უჩიტლებისაო“.

თქვენ შეგიძლიათ სიტყვა გამ ნოთ და მითხრათ:

— ასეთია წესი თანამედროვე ბისა, ასეთია მოთხოვნილება კა ტური ხანისა, ასეთია „რეჟიმი“ ყოფნისა... ეს ასეც უნდა იყოს ნაც.. ჯერ არ დამდგარა ის დღე, როდესაც საზოგადოებრივ რება სამართლიანად მოეწყობა.

ნება მიბოძეთ არ დაგეთანხმო

მართალია ქვეყნად ბევრი უსამ ბა არსებობს, მაგრამ ხომ არსებ ნებაც ამ უსამართლობისა? ხომ ერი და ეროვნული მოთხოვნილ არ'ებობს ეროვნული საჭიროე

---

*) ვსთხოვ ჩემ მკითხველებს არ დაივიწყონ, რომ მე ვლაპარაკობ უმრავლესობაზე, მებრძოლი ნაწილი ინტელიგენციისა და შეგნებულ მშრომელთა, ჩემის აზრით მხოლოდ „ბუნებრივი პროტესტია ჩვენში გამეფებულ ყოველ გვარ სიგლა- [illegible]

*) ჩვენ ქვემოთ დავამტკიცებთ, რომ ამ გაჩენაში მაინც და მაინც დიდი ღვაწლი არ მიუძღვისთ ჩვენ ფედერალისტებს: ეგენი დაპატრონენ მზამზარეულ დაწესებულებათ, დაარსებულთ არა ფედერალისტებისაგან და ბევრ ამ დაწესებულებას ეროვნულად გაღრმავების მაგივრად, [illegible]

მუშათა პრესის დღე.

დღეს 22 აპრილს, სრულდება ორი ლიწადი, რაც რუსეთში ყოველდღიუ ი იწყო გამოსვლა მუშათა გაზეთმა. რუსეთის მუშათა პრესას საძირკველი 905 წლის მოძრაობის დროს ჩაეყარა. ბოლოდ მოძრაობამდე რუსეთში მუ- ა მიმართულების განსაკუთრებული რგანო არ არსებობდა. ამ დროს მუ- ა ინტერესებზე გაკვრით აქა იქ სწერ- ნ სხვა და სხვა მიმართულების გაზე- ებში

ასე იყო საქართველოშიც, მუშათა ქო- გაო პირველად ჩვენში „კვალი" გამო- და მხოლოდ ყოველდღიური ორგანო დაარსდა 1905 წელს. პირველად გა- ვიდა „სხივი" რედაქტორობდა შ. ახმე- ლაშვილი და ახლობელ თანამშრომ- ობას უწევდა ბ-ნი ანა.

1905 წ. დაარსებულმა, როგორც რუ- ლმა ისე ქართულმა მუშათა პრესამ დი და შევიწროება განიცადა:

მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლება-შევიწროებისა, მუშათა პრესამ დასახულ ზანს მიაღწია და ყოველ „დარგის მუ- ებში შეურყეველი ნიადაგი მოიპოვა. დღეს რუსეთსა და ჩვენშიაც არსებობს ყოველდღიური მუშათა ორგანოები, რომელთა ნიადაგი არაჩვეულებრივის სისწრაფით ფართოვდება

ამ ჟამად რუსეთში გამოდის „Наш Голос" (სარატოვში), რომელსაც მუშები უწევენ ახლობელ თანამშრომლობას და აწოვებენ ყოველგვარ მასალას. „Наш Голос"-ის წინ გამოდიოდა: ,ლუჩი' ,პრავდა' და სხვა რომელნიც მთავრობის მიერ შეჩერებულ იქნენ. პირველად „Наш Голос"-ი მარტო ვოლგის მხრის მუშების ინტერესების დამცველ ორგანოთ ითვლებოდა, მხოლოდ დღეს მის გარშემო რუსეთის ყველა კუთხის მუშებია შემოკრებილი.

საქართველოში დღეს მუშათა ინტერესების უახლოვეს დამცველად და მათ პრინციპების აღმსარებლათ გამოდის გაზეთი „თან. აზრი", „ახ. კვალი" რომელთა ფურცლებზეც მუშათა ჭირვარამის განცოფილებას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

რუსეთში მუშებისათვის ორგანოს საარსებოთ გულმხურვალე შრომას ეწევიან და არავითარ ზომას არ ერიდებიან მის საკეთილდღეოდ და მოსაღონიერებლად.

ამ ბოლო ხანს ქართველი მუშებიც დიდათ აფასებენ თავის ორგანოს არსებობას და მას ყოველ მხრივ დახმარებას უწევენ.

ვუსურვოთ, რომ უფრო გაფართოვებულიყოს და წინ წასულიყოს მუშათა პრესა, მაგრამ ამავე დროს არ დაევიწყებინოსთ თავისი ელემენტარული მოვალეობა —თავის ქვეყნის სამსახური.

ი. დ—ძე

სტუდენტთა გაწვევა ჯარში.

საკუთარი კორესპონდენტისაგან.

გაიწვიეს ჯარში სტუდენტები პირველ და მეორე კურსისა დაბადებულნი 1893, 1894 და 1895 წლებში. არ გაყავთ მხოლოდ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები და ბეითლები. ქ. ხარკოვში მათი გაწვევა მოხდა 13 აპრილს კენჭის ამოღებით, რომელიც მოხდა თვით უნივერსიტეტში მხოლოდ პრორექტორის და პროფესორთა მეთვალყურეობით. გარეშე მთავრობის წარმომადგენელთაგანი არავინ დასწრებია ელა გაიწვიეს (წაიყვანეს) 1000 სტუდენტამდის (მარტო ხარკოვიდან) მათში 40 ქართველეა. კენჭს არავინ გაუთავისუფლებია. მათ ამ დღეებში შეამოწმებენ და გაგზავნიან სამხედრო სასწავლებელში, საიდანაც ოთხი თვის შემდეგ პრაპორშჩიკის ჩინით გაგზავნიან ბრძოლის ველზე. მაისის შუა რიცხვებში გაიწვევენ სტუდენტებს საექიმო ფაკულტეტისას მეოთხე კურსისას, რომელთაც ეხლა აქვთ სახელმწიფო გამოცდები, მაშინ როდესაც საექიმო ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდები ხუთი კურსის დამთავრების შემდეგ ხდებოდა ხოლმე მშვიდობიანობის დროს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მაისის შუა რიცხვებშივე გაიწვევენ მესამე კურსის სტუდენტებსაც და აგრეთვე პირველი ორი კურსისაც (დარჩენილებს) დაბადებულთ 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში. უნივერსიტეტში მოსულია ცნობა სამინისტროდან, რომლითაც ავალებენ რექტორს უნივერსიტეტისას დააჩქარონ, რაც შეიძლება სახელმწიფო გამოცდები ყველა ფაკულტეტზე და გამოუცხადონ უკანასკნელი კურსის სტუდენტებს ნუ გადასდებენ შემდეგისათვის სახელმწიფო გამოცდებს და ეხლავე ჩააბარონ. გამოცდები მოხდა აგრეთვე იანვარშიც, რაიც წინედ არ იყო სახელმწიფო გამოცდებზე თავმჯდომარეობს არა სამინისტროს მიერ დანიშნული წარმომადგენელი არამედ ადგილობრივ უნივერსიტეტის დეკანი ფაკულტეტისა. ასევე მიდის გამოცდები რუსეთის ყველა უნივერსიტეტში გამოცდები შედარებით წინა წლებზე იოლათ ხდება ვინაიდან თვით პროფესორები უადვილებენ სტუდენტებს გამოცდის ჩაბარებას.

ან. ჟანი.

ლექცია.

(წერილი თბილისიდან

კვირას, 17 აპრილს, სახალხო სახლში ლოტბარმა ილ. გოძიაშვილმა გამართა კონცერტი ლექციით. ლექცია წაიკითხა ბ-ნმა დ. კასრაძემ შემდეგ თემაზე:

,,უხილო რაფაელნი და მათი ცის ფერი ყანწები''

პირველად ლექტორი შეეხო ფუტურიზმის წარმოშობას იტალიეთში და სთქვა: ფუტურიზმი წარმოიშვა იტალიეთში 1870 წელს.

გათავისუფლებული იტალია განდიდებაზე ოცნებობს, ამის შესაფერი მწერლობაც წარმოიშვა, მარინეტი ფუტურიზმის მამა მთავარი მოითხოვს შეიქმნას უზენაესი იტალიის სახელმწიფო, ამისთვის ეგი ერთის მხრით გაჰყურებს აფრიკაში კოლონიების შეძენას, მეორე მხრით ადრიატიკის ზღვაში გაბატონებას და მესამეთ ტრიესტის განთავისუფლებას.

მარინეტი იტალიის მომავალ განდიდებისათვის მოითხოვს; წარსულზე ნუ ხარჯავთ ძალღონეს და უაღრესად იფიქრეთ მომავლის მოწყობაზე.

ელექტრონის გამოყენება, ტეხნიკის უმწვერვალესი განვითარება, დრედნოუტების აგება მსოფლიოზე გასაბატონებლად, აი მარინეტის მოძღვრების ქვაკუთხედი: ყველაფერი უზენაეს იტალიისათვის! მარინეტს გვერდში ამოუდგენ პაოლო ბუცი, ლუჩიო ფოლგორე და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ ძველ მწერლობიდან მხოლოდ გაბრიელ დანუნციომ მისცა ხმა და მხატვრულ ნაწარმოებში ეს იდეები გაავრცელა მისი პიესა ,,ხომალდი'', რომანები ,,შეიძლება ჰო, შეიძლება არა'' და მრავალი სხვა მარინეტის იდეათა ილიუსტრაციაა,

ერთ სიტყვით იტალიელ ფუტურისტთა თაყვანისცემა ტეხნიკის წინაშე დიდი იტალიის შექმნის ოცნებით არის წარმოშობილი.

ჩვენებურ ფუტურისტთ ზემოხსენებულ ფუტურისტებთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

არევ-დარეული აზრებით, ერთმანეთის საწინააღმდეგო ლექსებით არც კი იცით რას ეკამათოთ.

ამათ ფუტურიზმი ხორციელობაში დაინახეს, თავაშვებულ ვნებათა ღელვაში, პორნოგრაფიაში

,,ორგია'' ,,მრავალთ შვილები'' აი, დევიზი ჩვენებური ფუტურისტებისა.

მარინეტს ამის მსგავსი არა უთქვამს რა, პირიქით, იგი გვეუბნება, ქალი უნდა მშობიარების მოვალეობიდან გავანთავისუფლოთ, იგი იმდენად უნდა გარდავქმნათ, რომ ძუძუ გვერდ დადაღვის შემდეგ გარდიქმნენ მებრძოლებადაო. კაცთა ნათესავის გაჩენის შესახებ მას სწამს მეცნიერების ყოვლად შემძლებლობა. მოვა დრო ადამიანში მთელმარე ფრთები გაიღვიძებსო, მოვა დრო მეცნიერების საშუალებით ლაბარატორიებში გავსახავთ, მექანიკურად შევქმნით სანტიმენტალობას მოკლებულ ახალს ადამიანს ფოლადის კუნთებით და ძლიერის ნებით, ზე კაცს, რომელიც ჯადოსნურ კვერთხის დარტყმით ათასს სასწაულს მოახდენსო.

ვერასფერი ამისი მზგავსი ვერ გავიგონეთ ჩვენი ფუტურისტებისაგან, პირიქით, მთელი მათი ალმანახი ამ ვნებასა და სანტიმენტალობას იქით არ განშორებია, რასაც ასეთ რიგად ერიდებოდა მარინეტი..

ჩვენებურმა ფუტურისტებმა დაამახინჯეს, ვერ გაიგეს ეს მოძღვრება და მიტომაც ერთი კადნიერებისა და ვულგარიზმის აყოლებით წარმოშვეს ეს ალმანახი, რაიც საყასბოში გამოკიდულს აყროლებულ ფილტვსა ჰგავს, რასაც ყოველმა გამვლელმა ცხვირზე ხელ მოჰკრით გვერდი აუაროსო. აი ასეთი იყო მოკლე შინაარსი ბ დ. კასრაძის ლექციისა. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო.

ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

ლექციის შემდეგ გაიმართა კონცერტი გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები ილ. გოძიაშვილის ლოტბარობით. ამაზე აქ არაფერს ვიტყვით, რადგანაც ახალი არასფერი გაგვიგონია, ყველაფერი ასჯერ და ათასჯერ განმეორებული იყო.

მებ. ი. ბებეშვილი.

გვწამს, რომ ჩვენ ქართველები ვართ და თითოეული ქართველის სიცოცხლე ძვირფასია იმ იდეალის აღსასრულებლად, რომელსაც ჩვენ გულში ვატარებთ, რომელი იდეალიც გადმოგვცეს ჩვენმა ძველებმა და რომელი იდეალიც უნდა განუმტკიცოთ ჩვენ მომავლებს?

ამას მე ვეკითხები, რასაკვირველია, არა იმ ქართველებს, რომელთაც თავის მიზნად გაუხდიათ ხსნა მთელი მსოფლიოსი და ეთაყვანებიან რა წმინდაწყალის სოციალიზმს, ერი, ეროვნული საკითხი, ეროვნული გულისტკივილი მეორე-მესამე ხარისხოვან მოვლენად, ან სულ არად მიაჩნიათ. ასეთ ქართველებს შეუძლიათ ათასი ციტატები მოიყვანონ ყოველი ჯურისა და სახელმწიფოს სოციალისტთა ნაწერებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ვითომ მხოლოდ ჭეშმარიტი „მემარჯვენე" ქართველობა მალაპარაკებდეს, ამიტომ მე ვეკითხები იმ ეროვნულ „პარტიას", რომელსაც საქართველოს მხსნელად მოაქვს თავისი თავი და ფარისეველივით გულში ხელის ბრაგუნით ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახის:

— მე ვარ, რაც ვარ!—საქართველო ჩემი წილხდომილია. მე ვუძღოდი წინ მის განვითარებას, მევე გავუძღვები შემდეგშიაც ჩამოდექით მყრალო და მოღალატე ესდეკებო, ჩამოდექით უსუსურო „ობივატელებო, „აპოლიტიზმის" მქადაგებელო და „ნაძირალო" ეროვნულ დემოკრატებო, „დირიჟორის" ჯოხი ჩვენ უნდა გვეჭიროს!

დიახ!—რა კი ჩემი მოთხრობა გავწყვიტე,—მე ვეკითხები აი ამ პარტიას, რომელიც თავის თავს ეროვნულ-სოციალისტურ ფედერალისტურ პარტიას ეძახის, რა გააკეთა მან თუნდა ქართველ ახალთაობის აღზრდის საქმეში?

შეუხედნია მას, თუ არა საქართველოს სასწავლებლებში ქალთა, თუ ვაჟთათვის? შეუდგენია, თუ არა ღირსეული პროგრამა ქართულის ენისა, ან ისტორიისა?

მოუწყვია თუ არა სახალხო, სასოფლო სკოლები?

დაუარსებია, თუ არა მოძრავი სამეურნეო ლექცია კურსები?

შეუკრებია, თუ არა ქართველი ნასწავლი ახალგაზრდობა—ქალები თუ ვაჟები—მიუცია, თუ არა წესდება და ადგილები დაბა სოფლების სასამსახუროდ?

გამოუცია, თუ არა ათასობით იაფ-ფასიანი სახალხო წიგნაკები?

გაუბამს, თუ არა ქსელი მთელ საქართველოში კულტურულ დაწესებულებათა? ზრუნავს, თუ არა საერო ფონდისათვის?

იცნობს, თუ არა გლეხობას და აქვს თუ არა სტატისტიკური ცნობა მათი ცხოვრების შესახებ?

აქვს, თუ არა დაწვრილებითი რუქა მაინც ძველი და ახალი საქართველოისა, ან სია ქართული სოფლებისა ალფაბეტზე?

ერთის სიტყვით, გასცილებია იგი, თუ არა განსვენებულ ი. გოგებაშვილის (რომელიც არასოდეს ფედერალისტი არა ყოფილა!) „დედა ენა"—„ბუნების კარს"?

მაშ რას გვაყვედრიან ჩვენი ფედერალისტები? რას გვეჯავრდებიან? რას ილანძღებიან?

მე ვამტკიცებ, რომ არამც თუ ამისთანა არა გაუკეთებიარა, პირ იქით ყველა ეს „აპოლიტიზმათ" მიაჩნიათ მათ!

ასე რომ არ იყოს თვით თავის შვილებს, თავის ოჯახს მაინც მოუვლიდენ და ქართველურად მოაწყობდენ!

მე ვიცნობ რამდენიმე მოფედერალისტე ოჯახს, სადაც დედმამა და შვილები ქართულად ლაპარაკს არა კადრულობენ. და თუ გული მოაყვანინეთ, კიდეც შეუკურთხებენ შენს „ეროვნებას", ეს ზოოლოგიური მოთხოვნილებაა!..

მაგრამ ან კი ვინ არ იცის, რომ თუ სადმე დამახინჯებულია ქართული ენა ეს ფედერალისტების ოჯახშია! თუ სადმე დავიწყებულია იგი ეს ფედერალისტთა კრებებზეა!

თუ სადმე მიღებულია შენ ჩემობა ეს ყველაზე მეტად მიღებულია ფედერალისტთა შორის.

ამ გვარად, მე ვამტკიცებ, რომ ფედერალისტები ვერ დაიკვეხებენ დიდ ქართველობას! და ვამტკიცებ იმიტომ კი არა, რომ მე მათი რამ მშურდეს. არა! ნეტა ისეთი რამ გამოაგონებინოს მათ ღმერთმა, რომ ყველანი ჰაეროპლანებიით გავფრენილიყვეთ ცაში, და აღარ ვხედავდეთ ქართველების ასეთ ყრუ და განუკითხველ ტანჯვას, მაგრამ რა ვქნათ, რომ ფედერალისტები, როგორც ეროვნების მოტრფიალენი, მხოლოდ ცარიელი ტრაბახი არიან!

ეროვნული პარტია ისეთ პარტიასა ჰქვია, რომელი პარტიაც მთელ თავის ძალ ღონეს, მთელ თავის შრომას, მთელ თავის ქონებას, მთელ თავის სიცოცხლესაც კი, არ იშურებს მთელი ერის გამოფხიზლებისათვის. მისთვის თავის ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს „ელინი და იუდეველი" იგი დღე და ღამ თავს უნდა დასტრიალებდეს სამშობლოს, ამხნევებდეს მშრომელს, სდევნიდეს მოღალატეს, აფხიზლებდეს ყველას და ზრდიდობდეს მათ გაადამიანებას, მათ შორის სამართლიანობისა და ისტორიულ უფლების დამყარებას სახელითა სამშობლოისა!

თუ კი ეკლესიაში ისე ვერ შევა მორწმუნე კაცი, რომ სანთელი არ დაანთოს, თავისი წვლილი არ გაიღოს, რა ნება აქვს ქართველ კაცს—რომელი მიმართულებისაც უნდა იყოს იგი—სთელოს და სტკეპნოს საქართველოს მიდამოები თუ კი არ იზრუნებს ამ ქართველი ხალხის ოფლითა და სისხლით მორწყულ ტაძრის განსპეტაკებასა და აღორძინებაზე.

მე ღრმათა მრწამს, რომ არ იქნება ისეთი ყაჩაღიც კი, რომელმაც თავის დედას ძუძუები მოსჭრას, თუ მშობელმა ერთხელ მაინც მართლა ჩაუდო ძუძუ პირში და თავისი პირმშო დაბადებისათანავე სადმე ქუჩაში არ გადისროლა: სხვის აღსაზრდელათ, ან ნადირის გასაფათრავად!

საჭიროა მხოლოდ დედობრივი მზრუნველობა, საჭიროა ამაგის დადება, მადლის შეტანა, ღვაწლის დათესვა და თვით „შვილნი იქედნეთანიც'' კი ვერ გაბედავენ თავის ჭირნახულ მოხუცის შეურაცხყოფას.

ვინ უნდა იყოს ასეთ დედად ქართველობისათვის, ასეთი მადლის შემტანად საქართველოში?

ნამდვილი ეროვნული პარტია, ნამდვილი ეროვნული დასი?

მერე გვყავს ასეთი დასი?

თამამად ვამბობ—ჯერ არა გვყავს!

ასეთი დასი ახლა ისახება—ვინც რა სახელიც არ უნდა დაუძახოს მას ეროვნულ-დემოკრატიული, თუ ქართულ ხალხოსნური—ეს, სულ ერთია.

ფედერალისტები კი მხოლოდ ერთი ჯგუფია ინტელიგენციისა, რომელ ჯგუფსაც ხელში ჩაუგდიათ ქათული შემოსავლიანი ადგილები და რაკი ჩვენში ნამდვილი ეროვნული პარტია ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ეს ჯგუფი საქართველოს სახელით ჯერ-ჯერობით როგორც უნდა, ისე ატრიალებს ქართულ საქმეებს.

მე ვიცი, რომ ჩვენი ფედერალისტები ძალიან და ძალიან გამიწყრებიან, მე ვიცი, რომ შემრისხავენ კიდეც, მაგრამ სახელითა ჩვენის ტანჯულის სამშობლოისა, მოვუწოდებ ყველა შეგნებულ ქართველს და ერთხელ კიდევ შევეკითხები:

— რა საბუთის ძალით ბობოქრობენ ჩვენი ფედერალისტები, როცა აკლიათ ბევრი ის თვისებანი, რომელი თვისებაც უნდა ახასიათებდეს ნამდვილ ქართულ ხალხოსნურ დასს?

ია ვეკუაძე

(შემდეგი იქნება).

,,სამშობლოს" კანტორა

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ და თვიურ ქუთაისის ხელის მომწერთ, რომ მათზე დარჩენილი მდგომარე 1916 წლის პირველად დასაკვეთ ხვედრი ფულის წარმოდგენას კანტორაში ნუ დააგვიანებენ. ამასთანავე კანტორა უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს, თუ მორიგი ნუმერი ჩვენის გაზეთისა დროით ან რაიმე მიზეზით სრულიად არ მიუვა, აცნობონ კანტორას, რომ კანტორას საშუალება მიეცეს წესიერ-თ აწარმოოს გაზეთის მიწვდის საქმე ხელის მომწერლებისადმი.

ვინც ხვედრ ფულს 1 მაისამდი არ წარმოადგენს, გაზეთის გზავნა მოესპობა.

აფხაზების შუამდგომლობა.

აფხაზებმა შემდეგი შუამდგომლობით მიჰმართეს უწ. სინოდს: უძველეს დროიდან, რუსეთთან შეერთებამდე, აფხაზეთში ქრისტიანობა ვრცელდებოდა ქართველ სამღვდელოების მიერ, რომელიც საერთო იყო აფხაზეთის ქართულ ეკლესიისთვის და რომელიც მარად იმყოფებოდა მმართველ ფეოდალურ თავადების და აფხაზეთის ხალხის მფარველობის ქვეშ. ამ სამღვდელოებას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და სოლიდარი უნარი და მხნეობა გამოიჩინა ქრისტიანობის გავრცელებაში ყველა იმ რაიონებში, სადაც ქრისტიანობას ამა თუ იმ დამაბრკოლებელ მიზეზით ფეხი ვერ მოეკიდნა. შემდეგ, როგორც საქართველო და აფხაზეთი რუსეთს შეუერთდა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმებულ იქნა სინოდიდან დამორჩილებით, ქრისტიანობის გავრცელების საქმე და მისი პოპულიარიზაცია მეტად შეფერხდა: თვით უძველესის დროინდელი ქრისტიანები აფხაზეთის ზოგიერთ რაიონებისა თანდათან გამაჰმადიანდენ.

მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა უეჭველად უნდა ვეძიოთ ხალხისა და ქრისტიანობის გამავრცელებელთა თანდათან დაშორებაში, რომელნიც ლამობდენ ქრისტიანობის გავრცელებას, ხალხისთვის გაუგებარ ენაზე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის ეკლესიებში წირვა ლოცვა შემოღებულ იქნა ხალხისთვის გაუგებარ—სლოვიანურ ენაზე. ხალხსა და მოძღვართა შორის შესწყდა უსაშუალო დამოკიდებულება, რამაც ჩვენი ეკლესია მიიყვანა დღევანდელ საწუხარო მდგომარეობამდე,

ამ ჟამად ხმა დადის, რომ სინოდში პროექტია სოხუმის ეპარქიის გამოყოფისა საქართველოს საექსარხოსოდან, რაც სამუდამოდ დააბოლოვებს საეკლესიო ინტერესებს აფხაზეთში. ქრისტიანობის აღდგენისათვის, რომელიც განქრობის გზას ადგია, და რომელიც მოხდა ზოგიერთ, ეკლესიასთან სრულიად დაუკავშირებელ მიზეზთა გამო, საჭიროა ხალხისა და მოძღვართა დაახლოვება. შექმნა ისეთის პირობებისა, რომელიც დაახლოვებს ხალხსა და სასულიერო მმართველობას სარწმუნოებრივ საკითხში პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ისტორიულად, საუკუნოების განმავლობაში ხდებოდა ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა ერთგვარის ცნობილის წესით, რომლის შეცვლით სარწმუნოებრივი გრძნობა კი არ განვითარდება, არამედ შესუსტდება და დაიჩლუნგება ამ მოსაზრებათა და სარწმუნოების ინტერესთა დაცვის გამო, გთხოვთ არ გამოგვთიშოთ და გამოგვყოთ ძველთადვე არსებულ წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნოების განმავლობაში საქართველოს და აფხაზეთის ისტორიულ და კულტურულ ცხოვრების მიერ. „ს".

კიდევ შაჰიამანი და ცნობილი ფრიდონოვი.

დიდი აურზაური დაბადა საზოგადოებასა და პრესაში შაჰიამნის საკითხმა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მან, ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა ბევრათ მეტი ითქვას და მეტი დაიწეროს. ამ ლურჯი მარილის უქონლობამ უსაზღვრო გაჭირვება-

ში ჩააგდო მთელი საქართველოს მევენახენი. იმერეთი, ქართლი, კახეთი გურია და სამეგრელო ხელგაშეშლილნი ერთ-ხმათ თხოულობენ ვაზის წამალს, გოგირდს და მეტადრე შაბიამანს მევენახობა მეღვინეობის კომიტეტები, სამეურნეო საზოგადოებანი, კოოპერატივები და თვით ფრიდონოვის კანტორა ყოველ დღე სავსეა ხალხით, მაგრამ ხელცარიელნი ბრუნდებიან შინ წყევლა კრულით და არ იციან თუ რით უწამლონ ზვრებსა და ვენახებს, რით იხსნან ისინი ობ-ნაცრისაგან. აშკარად გრძნობენ, რომ მათ მარჩენალ ვაზებს მოელის შარშანდელზე უარესი ბედი, სრული გახმობა და განადგურება, მემამულეთ კი შრომის და მოსავლის დაღუპვა, სიღარიბე და გაჭირება.

კომიტეტები, სამეურნეო საზოგადოებანი, კოოპერატივები, პრესა, საზოგადოება და თვით მიწათმოქმედების დეპარტამენტი ერთხმად ათითებენ, ცნობილ ფრიდონოვზე, რომელმაც ხსენებული დეპარტამენტ კომიტეტების დახმარებით მიიღო 110,000 ფუთი შაბიამანი, მიიღო ორ პარტიათ, 50,000 ფუთი პირველად და 60,000 ფუთი მეორედ, მიიღო როგორც ნამდვილი წყაროდან ვიცით, თვით ინგლისის მთავრობის გემებით და მფარველობით, მაშინ როდესაც დ. ლამბაშიძეს იმავე ინგლისის მთავრობამ გადმოუყარა დატვირთული გემიდან 12,000 ფუთი საქართველოში გასაგზავნი შაბიამანი და იმ გემით გაიგზავნა ჯარები თუ სამხედრო სურსათი გალიპოლში. დიაღ ცნობილმა სოვდაგარმა და გაწვრთვნილმა სომეხმა ფრიდონოვმა რუსეთის და ინგლისის მთავრობათ და დახმარებით მიიღო 110,000 ფუთი შაბიამანი და 12,400 ფუთის მეტი გადამალა სადღაც, გადამალა ხერხიანათ და ოსტატურად, გადამალა იმ მიზნით, რომ ფუთი გაყიდოს 40—50 მანეთად და ამრიგად მოიგოს ერთწელიწადს რამდენიმე მილიონი მანეთი, აილოს ეს ფული უმთავრესად ქართველ მემამულეთაგან.. მისი ცნობილი აგენტები, სომხები სარიევი, ბახჩიევი, ნუნაროვი და კომპანია უკვე დაძრწიან კოლხეთ-ივერიაში და ჰყიდიან ზოგიერთ მემამულეებსა და წვრილ ვაჭრებზე ფუთ შაბიამანს 5—6 თუმნათ და მეტათაც.

საკვირველი და საოცარია, რომ ბ. ფრიდონოვმა დაარწმუნა დეპარტამენტი და კომიტეტები, რომ თითქო მას 12.400 ფუთი შაბიამანის მეტი არ მიეღოს უცხოეთიდან. და ეს 12.000 ფუთი „გულკეთილმა რაინდმა“ დაუთმო კომიტეტს და წვრილი კრედიტის საზოგადოებათა ბიუროს თვით 15 მანეთად და 4 აბაზათ, მაშინ როდესაც თვითონ ფრიდონოვს უზის ფუთი შაბიამანი თბილისში მოტანით არა უმეტეს 8 მანეთისა. მაშინ ამ შემთხვევაშიაც ეს ვაჟბატონი იგებს პირისპირს, ე. ი. 100%-ს ჩვენ ამის უტყუარი საბუთებიც გვაქვს ხელში და შეგვიძლია მუდამ დავამტკიცოთ. მაგრამ ეს 100% იც ეცოტავა მადა აღძრულ სოვდაგარს, რომელიც მზათ არის ათი ტყავი გააძროს ხალხს, რომ თავის ჯიბე გაისქელოს.

ამ რიგათ ბ. ფრიდონოვმა სიყალბე ჩაიდინა და მოატყუა ორმაგად რუსეთის მთავრობა და მისი ორგანოები, სამეურნეო დეპარტამენტი და მევენახეობა მეღვინეობის კომიტეტები, რომლებითაც უხვათ ისარგებლა მან და მათი დახმარებით მოიპოვა 110 000 ფუთი შაბიამანი, მოიპოვა იმ პირობით, რომ ეს საწამლო მასალა ერთიანათ და მცირე მოგებით დაეთმო კომიტეტის ორდერებით ამიერ-კავკასიის მემამულეთათვის. ნამდვილათ კი კომერციის ხელოვანმა ფრიდონოვმა თვალთმაქცურათ გადამალა შაბიამნის $^{9}/_{10}$ ნაწილი და ნაჩვენებ ერთ მეათედშიაც 10%-ის ნაცვლად აწაპნა 100%. და ეს კომერციული ჯამბაზობა ხდება მთავრობის, პრესის, საზოგადოების და ექვსი მილიონი ხალხის თვალწინ ..

ამაზე შორს ველარ წავა ჩარჩულ ვაჭრული თილისმა ოინები! ასეთი საარაკო საქმენი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, ჩვენს ღუხჭირ ცხოვრებაში!.. ახმაურდა პრესა და საზოგადოება უხმოდ აღშფოთდა გაწვარებული ხალხი, ყველანი ერთად უკიჟინებენ ფრიდონოვს მოტყუებას სიყალბეს, უსაზღვრო სპეკულიაციას, ბოროტ-მოქმედებას ყველანი ერთბაშად სვამენ მას დამნაშავის სკამზე, მაგრამ სდუმს ლაღი და მძლავრი ფრიდონოვი, რადგან იცის, რომ მას ვერაფერს დააკლებენ, რადგან ხელთ უკავია თილისმის წკეპლა რითაც ყველას უბნელებს თვალებს და უჩვენებს შავ თეთრად...

დიაღ, სდუმს და არ იღებს ხმას ბ. ფრიდონოვი, მასზე არ მოქმედობს, როგორც სჩანს, ამდენი მხილება და შერცხვენა სდუმს იგი და, კრილოვის წუწკ კატასავით, მადიანად მიირთმევს სხვის გემრიელ საუზმეს. მას არ ესმის თქვენი მაღალი ზნეობა.

— თქვენ რამდენიც გინდათ იყვედროთ და იყაყანეთ, მე ამ დროს ჯიბეს ვისქელებ და მილიონებს ავაცლი უმწეო ხალხსო, თითქო ბრძანებს თავის დუმილით ბ-ნი ფრიდონოვი და აი კიდეც ასრულებს თავის განზრახვას!

დიდი იმედი ჰქონდათ იმერეთის მემამულეთ მეფის ნაცვალთან გაგზავნილი დეპუტაციის, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ. სასომიხდილი ხალხი იძულებულია ახლა ან შეიძინოს ფუთი შაბიმანი 7—8 თუმნათ, (ამ ჟამათ იმერეთში 70 - 80 მანეთამდე ასულა ფუთი შაბიამანი), ან და სტოვოს უწამლოდ და ერთიანად დაღუპოს თავის ვენახები.

ნუ თუ ამ საარაკო ამბებს არ უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება?! ნუ თუ ერთ სომეხ ფრიდონოვს მეტი ძალა და გავლენა აქვს რუსეთის იმპერიაში, ვინემ მთელს ქართველ ერსა და ამიერ კავკასიის მევენახეებს?! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ უსაშინელეს ბოროტებას და უსაზღვრო სპეკულიაციას მიაქცევს უზენაესი მთავრობა ჯეროვან ყურადღებას და არ მისცემს ნებას, რომ ერთ კაცს შეეძინოს უკანონოდ მილიონები და ამავე დროს რამდენიმე ასიათასი მემამულე კი დაიღუპოს საჭიროა ახლავე სასტიკი ზომების მიღება და სრული რევიზიცია მთელი შაბიამნის, რაც აღმოჩნდება კავკასიაში, სულ ერთია ფრიდონოვის აშკარა თუ ფარულ საწყობებში აღმოჩნდება ეს ლურჯი მარილი თუ მისი აგენტების და ისე ვაჭრების ან მემამულეების სარდაფებში. საჭიროა ახლავე მოხდეს ეს რევიზია და დაურიგონ ხალხს ფუთი 9 მანეთად, რადგან ამ ფასად გამოუგზავნია ლონდონიდან. დ. ლამბაშიძემ თელავის საკრედიტო ამხანაგობას 10.000 ფუთი შაბიამანი თბილისში ჩაბარებით, მაგრამ გვიან გამოგზავნილი გემი გაიყინა ჩრდილო ოკეანეში.

საგულისხმო კიდევ ერთი ფაქტი: სხვილ მემამულეს სომეხ ანანოვს მოუხერხებია და მიუღია ფრიდონოვისაგან 600 ფუთი შაბიამანი, მაშინ როდესაც მას ეპირება მხოლოდ 30—40 ფუთი, რადგან 15 დესეტინამდე თუ ექნება ვენახი. ახლა იგივე ანანოვი სცდილობს, თურმე ქუთ. გუბ. მევენახობა მეღვინეობის კომიტეტის ორდერით მიიღოს კიდევ ფრიდონოვისაგან 8,000 ფუთი. იბადება კითხვა: ნეტა რათ უნდა ანანოვს ამდენი შაბიამანი ან საიდან აღმოაჩნდა ფრიდონოვს ამდენი ლურჯი მარილი, რომ ერთ კაცს მისცეს თუ კი, მისი სიტყვით მან მიიღო მხოლოდ 12,000 ფუთი?! ნეტა ხომ არ არის სომეხი ანანოვი, სომეხ ფრიდონოვის ფარული აგენტი და შაბიამნის გამსაღებელი?! ან ხომ არ უნდა ანანოვს ამ შაბიამნით ხელში ჩაიგდოს იმერეთის მემამულენი და ოხრის ფასათ შეიძინოს მათი ოფლით და შრომით მოწეული ღვინო და ყურძენი?! აქ ჩვენ გვაქვს საქმე კიდევ ერთ უსაშინელეს სპეკულიაციასთან და ხალხის სისხლის წოვასთან*...

„ს.“ რიონელი.

რუსეთი.

საყოველთაო სწავლების კანონპროექტის მდგომარეობა.

როგორც ვიცით, რუსეთში საყოველთაო სწავლების კანონპროექტის გამო საუწყებათაშორისო თათბირზე უთანხმოება დაიბადა, განსაკუთრებით სამღვდელოების მხრივ. ახლაც „რუსკია ვედომოსტიდან“ ვტყობილობთ, რომ ამ კანონპროექტს სამღვდელოების მხრივ კიდევ დიდი დაბრკოლება ხვდება და ვინ იცის, როდის ეღირსება იგი განხორციელებას, თუ რა საკვირველია რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება იმავე საფუძველზე დარჩა, რაზედაც ახლა იგი სდგას

ბამბის ძაფის ფასი.

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ბამბის ძაფის სავალდებულო ფასი დაადგინა. თუ დღემდე (ომის დროს) ფუთი ძაფი 62 მანეთამდე ფასობდა. აწი მინისტრის გადაწყვეტილებით ფუთი 42—43 მან. უნდა გაიყიდოს.

უცხოეთი.

სოციალისტი ერვეს აზრი ირლანდიის აჯანყებაზე.

ცნობილმა ანარქო-სოციალისტმა ერვემ ირლანდიის აჯანყებაზე თავის გაზეთში დიდი სტატია მოათავსა.

ამ სტატიაში მან, როგორც პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობისა და უთანხმოება-შუღლის ანალიზი გააკეთა. ავტორის აზრით, შუღლი და უთანხმოება ამ ორ ერს შორის ინგლისის ნაციონალისტების ირლანდიელ ცრუ პოლიტიკით იყო გამოწვეული, რომელიც უნდოდათ ირლანდიის მართვა-გამგეობა უხეშ ძალაზე დაემყარებიათ. მაგრამ ინგლისმა ბოლო ხანებში გაბედულათ და კეთილშობილურათ უარჰყო ძველი პოლიტიკის შეცდომები და ირლანდიის ხალხის განსაკუთრებული უფლების აღიარებით მან ეს ხალხი ინგლისსა და მის იდეალებს საბოლოოვათ შეუერთა. რაც შეეხება ახლანდელ აჯანყებას, ამაზე ის უნდა ითქვას, რომ „აქ გერმანიამ, რომელიც ამ აჯანყების მთავარ მომწყობათ უნდა ჩაითვალოს, საშინელი მარცხი განიცადა! და მერე იცით ვინაა ამის ჩამდენი, ამის მთავარი მიზეზი? იქნება თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ინგლისის ფლოტია?—სულაც არა! ეს ჩაიდინა დიდებულმა გლადსტონმა, რომელიც ირლანდიის „ჰომრულის“ ავტორათ არის ცნობილი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ინგლისის ასპარეზი

ლონდონი. 19 აპრილი. საფრანგეთში წასულ ღამით ჩვეულებრივ ყუმბარების დაშენის შემდეგ კარანოისთან მტერმა ნაღმი ააფეთქა, რომელმაც დააზიანა ჩვენი მოწინავე პოზიციის თხრილები. ლოსს ჩრდილოთით მტრის უმნიშვნელო კონტრიერიში უკუვაგდეთ. დღეს როკლენკურასთან ჩვენ კამუფლეტები ავაფეთქეთ, საარტილერიო სროლა ხდებოდა ანგრის მიმართულებით, სადაც ჩვენ გავაფუჭეთ მტრის სიმაგრეები. სიმაგრეებს ზიანი მივაყენეთ აგრეთვე იაროს მიდამოებში. გუშინ მოხდა 7 საჰაერო ბრძოლა, რომლის დროსაც გერმანელთა ერთი აპარატი გერმანელებისვე ბანაკთან ჩამოვაგდეთ, მხოლოდ მეორეს წინა ნაწილი გაუფუჭდა და ბატეგის შენობასთან ჩამოვარდა.

ბელგიის ასპარეზი

ჰავრი. ბელგიელთა ცნობა. გაცხარებული იერიშების შემდეგ დიქსმიუდესთან გერმანელებმა სამი ჩვენი სადარაჯო დაიჰყრეს, მაგრამ ისევ მალე უკან დავიბრუნეთ მთელი დღის განმავლობაში დიქსმიუდეს რაიონში საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა.

სტოკჰოლმი. 19 აპრილი სალამოთი რუსის დეპუტატები ქრისტიანიით ბერგენს და ლონდონს წავიდენ

კოპენჰაგენი. ეს მეორე დღეა გერმანიიდან ფოსტა აღარ მოდის, ამბობენ ეს გამოწვეულის ჯარის ახალ კონცენტრაციითაო.

ლონდონი. ამას წინათ რუსეთის დაღუპულ სახოსპიტლო გემ „პორტუგალის“ შესახებ ინგლისში განაცხადეს, რომ ეს ოსმალეთის მხრივ საერთაშორისო საკაცობრიო კანონ უფლების დარღვევას ნიშნავსო.

მესოპოტამიის ბრძოლის პირი.

ლონდონი. 20 აპრილი გენერალი ლოტკი იუწყება: ინგლისელთა მცირე რაზმმა 16 აპრილს ბუბირთან მტრის მიერ ძალზე გამაგრებულ პოზიციაზე იერიში მიიტანა და მტერი შეავიწროვა, ინგლისელებმა ბრძოლაში დაჰკარგეს ინგლისელი ოფიცერი და ერთი ინდოელი ჯარის კაცი

ინგლისელთა წინაღმდეგ ოსმალეთის მომქმედ ჯარის მთავარი სარდალი წერილობითი თანხმობას აცხადებს, რათა ორივე მოწინააღმდეგე მხარეებმა ერთმანეთს დაუბრუნონ ავადმყოფი ტყვე ჯარის კაცები

ლონდონი. ასკვიტმა საერთო პალატაში განაცხადა, რომ ამ ახლო მომავალში პალატაში განსახილველად იქნება შემოტანილი კანონპროექტი ირლანდიის საქმეთა სეკრეტარიატისა. მანვე განაცხადა, რომ ფოსტა-ტელეგრაფი ირლანდიიდან ლონდონამდე აღდგენილიაო.

ლონდონი. ასკვიტმა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ მალე იქნება წამოყენებული საკითხი საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებო.

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. 20 აპრილი ხუთი მტრის დირიჟაბლი სამშაბათს საღამოით შოტლანდიისა და ინგლისის სანაპიროებს თავს დაესხნენ, თვალსაჩინო შედეგები ჯერ არ იციან. აფრიკაში მომქმედ ინგლისელთა ჯარის მთავარი სარდალი გენერალი სმეტსი იუწყება, რომ ამინდები მეტად უვარგისია, რაიც ხელს უშლის ბრძოლის მიმდინარეობას მტერს კიდევ უჭირავს რამდენიმე გამაგრებული ადგილი.

საფრანგეთში იპრთან და ემერასთან მტრის შემოტევები არტილერიის ცეცხლით შევაჩერეთ გუშინდელ ბრძოლის დროს ორი გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

პასუხი პირველს.

დასასრული იხ. „სამშობლო“ № 337.

სვანეთიდან გაცილების ამბავს ასე მოგვითხრობს: „სვანეთის ძველ მწყემსს ძველი ბატონური ცხოვრება აღუდგენია, შეუკრებია 25 ცხენოსანი სვანი და ერთ ღამეს ერთს ესტუმრება, მეორე ღამეს — მეორესა“. ჩემ საპატივცემლოთ გამოწვეულ ხარჯებზე სწუხს ბ. ავტორი რაში ხედავს ბ. პირველი ძველი ცხოვრების ბატონობის სისტემის აღდგენას, არ მესმის. თუ სვანებმა მოინდომეს და მიხვდნენ, რომ ჩემი გაცილება აღენიშნათ წრფელი პატივისცემით—კი, მე მგონია, ჩემ მიერ მათში დათესილ სიყვარულის ნაყოფს უფრო უნდა მიაწეროთ, ვიდრე ძველ ბატონურ ცხოვრების სისტემის აღდგენას. არავითარ ძალდატანებას აქ არათუ ადგილი ქონია, პირიქით იმდენი გამოჩნდა ჩემი პატივისმცემელთა რიცხვი, რომ, სანამდი რომელიმე სოფელში შევიდოდი, რამოდენიმე კაცი რვა-ცხრა ვერსის მანძილზე შემეგებებოდა, სახლში მიწვევდნენ და როცა ამათი რიცხვი, ვიმეორებ, ისე გამრავლდა, რომ ყველასთან ჩემი მისვლა შეუძლებელი შეიქნა, გადასწყვიტეს კენჭი ეყარათ და ვისაც იგი შეხვდებოდა, იმასთან მართლა მივსულიყავი. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ნუთუ კაცს მაშინ, როდესაც ის თორმეტის წლის სამსახურის შემდეგ ეთხოვება რომელიმე კუთხეს და მით უმეტეს თავის სამშობლო ქვეყანას, არ შეეძლია დაუპატიჟებლადაც ეწვიოს თავის ახლობელ ნათესავ მეგობრებს და [illegible] ჩემის აზრით ამას [illegible] ზრდილობაც, სხ[illegible] ვანებით რაც შეეხება ხარჯებს—აქ ჩემ სვანეთელიც არაა, რადგან უმნიშვნელო მასთან ერთად საკუთარი სურვილით გამ უღი და არსად არც ძროხა და არც ხ დაკლულა, როგორც ბ. პირველი ამბ თურმე ჩემს ძმას რომ ჩემს პატივსაც ძროხა დაეკლა, ეს, მგონებ, არავითარ დისას საწინააღმდეგო არ უნდა იყოს.

რამდენი ოფიციალური სადილები ამ კულტურულ წრეებში მოხელეთა გასტუ დროს ვინ მოსთვლის. მაგრამ განა ეს ბატონურ ცხოვრების სისტემის აღდ ნიშნავს? მადლობა ღმერთს! ჩემს სა ოფიციალური ხასიათი არ ქონია და გ ფული იყო, ბევრგან საზოგადოებებმა გამოვემგზავრე სვანეთიდან მრავალი კაცი მოვრიდი მხვდებოდა გზებში და ბევრი განი თავის სოფლიდან შემდეგ სოფლამდე ცილებდა მწუხარებით. და აი სწორედ ა დახუთა კაცი, რომლებიც ძველ ბატ ცხოვრების სისტემის აღსადგენად და ბ. პ. აზრით, სწორეთ ესენი გახდნენ რიდის დანარჩენ ნაწილს უყურადღებოდ ვებ, რადგან ის იმდენად სიცრუეა რომ შესახებ პასუხი არც კი შეიძლება და ეთავის შეღავათ მამასხნია მასზე თუ რა უკმაყოფილება გამოიწვია ბ. პ. ფიქრებელმა ვალაც ბალდების და ზნეკ პარის მიერ ნაღაპარაკევზე დამყარებულ რადმა, ამაში თვითონვე დარწმუნდება, სვანეთში მიბრძანდება. მხოლოდ მეთხ დაარწმუნებლად საჭიროდ მიმაჩნია წა ნი რედაქციას სიტყვითი და შეგნებ ნეთის მკვიდრთაგან მოწერილი წერილები აგრეთვე მოვათავსო აქვე ბ. პირველის მი გან მოწერილი წერილი: „ძმაო გენი მეპატივე, ვითომც ამის რამე დაუ ჰენ შესახებ გაზეთში და ამაზე თვით მავსწერე წერილი და გაზეთშიც გაუ წერილი. გთხოვთ გული ნუ დაგწყდებ მე თვითონ გამოვეკამათები გაზეთის სი ბით. ლენჯეხელი მოწაფეები და ვიცე ჩვენებული ბალღები რაცაა სიზმარს უფ რადა მოიხვია თავზედ ამ ტვალებით რეკიდ და გაქლექილ ჰორებისაგან მოხ და მისდევები?“.

ეგნატე გაბლი

---

*) ნეტავი კიდევ გამოჩნდებიან ისეთი გულუბრყვილონი და განაცხადებენ, რომ ფრიდონოვმა მხოლოდ 12.000 ფუთი შაბიამანი მიიღოო. რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლ

მიღებულია.
ქ. ჟორჟოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქუჩა საკუთ. სახლი.)
აბრეშუმის თესლი
ცნობილი ფრანგული ფირმის რუსეთში ფერანაგენტრანის რომელიც წმებულია და მოწონებულია თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფ აქვს მთავრობის შემოწმებული თეთრი ბანდეროლი პარტიის მყიდველს დაეთმო ფას დაკლებით.
დაიჩქარეთ თესლის შეძენა.

ავადმყოფნი გონორეით სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა ბლენიოზოლი
პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, პაპების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის ბლენიოზოლი რადიკალურად სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, ცენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან განთავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმიო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა სრული სისადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ერთგულები ივ. ნ. კოლეგოვი.
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.